არაძალადობრივი მოძრაობების როლი დემოკრატიზაციის პროცესში (საქართველოს შემთხვევა)

ლაშა სალამაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჭიაბერაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

,,როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ლაშა სალამაშვილი

01.06.2024

აბსტრაქტი

არაძალადობრივი და სოციალური მოძრაობების სტრატეგიული ამოცანაა ქვეყანაში არსებული პრობლემატური საკითხის აქტუალიზება და პრობლემისადმი მათი განწყობისა და დამოკიდებულების საჯაროდ რეპრეზენტირება. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მოძრაობების როლსა და მათი მუშაობის მეთოდოლოგიაზე უცხოელ მკვლევრებს აქამდე უკვე უმუშავიათ, ძალზედ მწირი კვლევები მოიძებნება არსებული საკითხის შესახებ საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია საქართველოს მაგალითზე დაადგინოს სოციალური და არაძალადობრივი მოძრაობების არსებობის როლი და მათი მნიშვნელობა. კერძოდ, ნაშრომის მიზანია მკითხველს დაანახოს აღნიშნული მოძრაობების წარმოშობის მიზეზები, შედეგები და ურთიერთმიმართება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებთან მიმართებით.

წარმოდგენილი სამაგისტრო კვლევა ჩატარებულია თვისებრივი მეთოდების დახმარებით, რომელშიც გამოყენებულია კვლევის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: სისტემატიზაციისა და სინთეზის მეთოდი, შემთხვევის შესწავლისა (Case study) და შემთხვევების შედარების მეთოდები (Comparative case study), კონტენტ და დისკურს ანალიზი, ნახევრად სტურქტურული (ჩაღრმავებული) ინტერვის მეთოდი და სხვა.

წინამდებარე საკვლევი ამოცანებისა და მეთოდების გათვალსწინებით, კვლევის მეთოდოლოგიური მიზანია საქართველოს შემთხვევის ანალიზისა და შესწავლილი შემთხვევების შედარებითი ანალიზის მეშვეობით არაძლადობრივი მოძრაობების ცვალებადობისა (ევოლუციის) და ეფექტურობის დონის გაზომვა დროითი ინტერვალების (შემთხვევების) გათვალისწინებით. კვლევის ფარგლებში შესწავლილია, როგორც უშალოდ არაძალადობრივი მოძრაობების წარმოშობის მიზეზები, ასევე მისი სტრუქტურული მახასიათებლები და მუშაობის მექანიზმები: მეთოდები, ფორმები და ინსტრუმენტები. მეტიც, აღნიშნულის გათვალისწინებით

ნაშრომი შეისწავლის არაძალადობრივი წინააღმდეგობის მუშაობის პრინციპებს, რაც პირდაპირ კორელაციაში მოდის მათი მოქედების ეფექტურობის დონესთან (შედეგებთან) და გვეხმარება ამოვხსნათ ამ უკანასკნელთა შორის (მეთოდებსა და შედეგებს შორის) არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

კვლევის ემპირიული შესწავლის პირველ ეტაპზე დამუშავებულია, როგორც პირველადი დოკუმენტები, ასევე მეორეული და მესამული წყაროები. კერძოდ ეპირიული და თოერიული ნაწილი ემყარება არაძალადობრივი მოძრაობის თეორეტიკოსების - ჯინ შარპის, პიტერ აკერმანის, ჩარლზ თილის, ჰარდი მერიმანის, გია ნოდიასა და სხვათა ნაშორმების ანალიზს და ხსნის სოციალური და არაძალადობრივი მოძრაობების მნიშვნელობასა და მათი მუშაობის ეფექტურობის მიზეზებს. აღნიშნულის გათვალისწინებით ნაშრომი პასუხს სცემს ისეთ საკვლევ კითხვებს, როგორებიცაა: ***Q1.*** *არაძალადობრივი პროტესტის რომელი ფორმებია (მეთოდები) ეფექტური პოლიტიკური ცვლილებების მისაღწევად?* ***Q2.*** *რა ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები განაპირობებენ არაძალადობრივი მოძრაობების ინიცირებას (მობილიზირებას)?*

წინამდებარე ემპირიული და თეორიული ანალიზის შედეგად დგინდება სოციალური მოძრაობების მუშაობის პრინციპები, მუშაობის მექანიზმები და მათი როლი დემოკრატიზაციის პროცესებთან მიმართებით. საკუთრივ, კვლევის შედეგები ხაზს უსვამს დემორკატიული სახელმწიფოს მშენებლობისა და მისი ტრანზიციის პროცესში სოციალური მოძრაობების როლს/მნიშვნელობას. კვლევის თეორიული მსჯელობა, რომელიც ემყარება *,,ფარდობითი დეპრივაციისა"* და *,,არაძლადობრივი წინააღმდეგობის"* თეორიებს, ცდილობს ახსნას, თუ ერთი მხრივ, რა განაპირობებს სოციალური მოძრაობების უკმაყოფილების წარმოქმნას (პროტესტის დაბადების მიზეზებს), ხოლო მეორე მხრივ ყურადღებას ამახვილებს პროტესტის მშვიდობიანი გზებით გამოხატვის ფორმებზე, მეთოდებსა და მექანიზმებზე.

კვლევის შემთხვევის ანალიზის ეტაპზე, რომელშიც ყურადღება ეთმობა საქართველოს კონტექსტის, კერძოდ, სამი შემთხვევის ანალიზს: 9 აპრილი (1989); ვარდების რევოლუცია (2003); ანტირუსული კამპანია (2024) - დგინდება, მშვიდობიანი წინააღმდეგობის ეფექტურობა და მისი მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს არსებული მოძრაოებების მიერ შემუშავებული არაძალადობრივი მეთოდების ეფექტურობასა და მის უნივერსალურობას. კვლევის ბოლო ეტაპზე, არსებული შემთხვევების შესწავლისას დადგინდა სოციალური და არაძალადობრივი მოძრაობების დროში ცვლილებები - ევოლუცია (პროტესტის ფორმებისა და მეთოდების ცვლილება), რამაც ერთი მხრივ პასუხი გასცა შესავალ ნაწილში დასმულ საკვლევ კითხვებს, ხოლო მეორე მხრივ დაადასტურა შემუშავებული კვლევითი ჰიპოთეზების ვალიდურობა.

კვლევის უნიკლურობას ხაზს უსვამს ერთი მხრივ არაძალადობრივი / სოციალური მოძრაობების განსხვავებული მეთოდოლოგიითა და თეორიული მსჯელობით შესწავლა. კერძოდ, მოცემული თოერიული ჩარჩოს ფარგლებში საქართველოს შემთხვევების სიღემრისეული შესწავლა, რაც საკითხის გარშემო არსებული მწირი სამეცნიერო შრომებისა და კვლევების გამდიდრება შესაძლებლობას იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, ხელს უწყობს არაძალადობრივი მოძრაობების ფენომენით სხვა (ქართველი და უცხოეული) მეცნიერების დაინტერესებას და არსებული საკითხის აქტუალიზებას. გარდა აღნიშნულისა, ჩვენთვის, როგორც ტრამვული ისტორიისა და მეხსიერების მქონე სახელმწიფოსათვის (წინამდებარე შემთხვევების Sedegebis გათვალისწნებით) არსობრივად მნიშვნელოვანია მოხდეს არაძალადობრივი/ სოციალური მოძრაობების როლისა და მისი მნიშვნელობის სიღრმისეული შესწავლა, ხოლო მეორე მხრივ მომავალი მკვლევარებისა და არსებული საკითხით დაინტერესებული პირებისთვის დაგოროვილი ცოდნის გაზიარება.

საძიებო სიტყვები: არაძალადობრივი მოძრაობები, სოციალური მოძრაობები, პროტესტი, პოლიტიკური ძალაუფლება, დემოკრატია, დემოკრატიზაცია, წინააღმდეგობის ფორმები, წინააღმდეგობის მეთოდები, ფარდობითი დეპრივაცია, რევოლუცია.

Abstract

The strategic task of non-violent and social movements is to actualize the problematic issue in the country and to publicly represent their mood and attitude towards the problem. Despite the fact that foreign researchers have already worked on the role of social movements and the methodology of their work, very few studies can be found on the current issue considering the context of Georgia. That is why, the aim of this master's thesis is to determine the role of the existence of social and non-violent movements and their importance on the example of Georgia. In particular, the main goal of the paper is to show the reader, on the example of Georgia, the reasons for the origin of the mentioned movements and their relationship with the current political changes in the country.

The master's research was conducted through a qualitative methodology, in which such research methods as: systematization and synthesis method, case study and comparative case study methods, content and discourse analysis, semi-structured (in-depth) interview method and other. Taking into account the present research objectives and methods, the methodological goal of the research is to measure the level of variability (evolution) and effectiveness of nonviolent movements through the analysis of the case of Georgia and the comparative analysis of the studied cases, taking into account the time intervals (cases).

Within the framework of the research, both the reasons for the emergence of non-violent movements, as well as their structural characteristics and work mechanisms: methods, forms and tools are studied. Moreover, taking this into account, the work will study the principles of nonviolent resistance, which is directly correlated with the level of effectiveness (Outcomes) of their behavior and helps us to unravel the cause-and-effect relationships between the latter (methods and results).

In the first stage of the empirical study of the research, both primary documents and secondary and tertiary sources are processed. In particular, the empirical and theoretical part is based on the analysis of the works of nonviolent movement theorists - Gene Sharp, Peter Ackerman, Charles Till, Hardy Merriman, Gia Nodia, and others, and explains the importance of social and nonviolent movements and the reasons for their effectiveness. Taking this into account, the paper answers such research questions as: ***Q1.*** *Which forms (methods) of non-violent protest are effective in achieving political change?* ***Q2.*** *What endogenous and exogenous factors lead to the initiation (mobilization) of non-violent movements?*

As a result of the present empirical and theoretical analysis, the working principles of social movements, working mechanisms and their role in relation to democratization processes are established. Specifically, the research results emphasize the role/importance of social movements in the process of building a democratic state and its transition. The theoretical reasoning of the research, which is based on the theories of *"relative deprivation"* and *"non-violent resistance",* tries to explain, on the one hand, what causes the emergence of social movements and their dissatisfaction *(the reasons for the birth of protest)*, while on the other hand, it focuses on the forms and methods of expressing protest in peaceful ways. on methods.

In the case analysis stage of the research, in which attention is paid to the Georgian context, namely the analysis of three cases: April 9 (1989); Rose Revolution (2003); Anti-Russian Campaign (2024) - establishes the effectiveness of peaceful resistance and its importance, which in turn emphasizes the effectiveness of non-violent methods developed by existing movements and its universality. At the last stage of the research, during the study of existing cases, changes in social and non-violent movements over time - evolution (change in forms and methods of protest) were determined, which on the one hand answered the research

questions posed in the introductory part, and on the other hand confirmed the validity of the developed research hypotheses.

The uniqueness of this research is emphasized on the one hand by the study of nonviolent / social movements with a different methodology and theoretical reasoning. In particular, within the given theoretical framework, a colorful study of the cases of Georgia, which enables the enrichment of scarce scientific works and researches around the issue, and on the other hand, it contributes to the interest of other (Georgian and foreign) scientists in the phenomenon of non-violent movements and actualization of the existing issue. In addition to the above, for us, as a state with a traumatic history and memory (taking into account the current cases), it is vitally important on the one hand to conduct an in-depth study of the role of non-violent / social movements and its importance, and on the other hand to share/transfer the accumulated knowledge to future researchers and persons interested in the current issue.

Search words: non-violent movements, social movements, protest, political power, democracy, democratization, forms of resistance, methods of resistance, relative deprivation, revolution.

მადლობა

მაქვს პატივი მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიღებული ცოდნისა და პროფესიული გამოცდილებისათვის. პოლიტიკის მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის პერიდოში გავხდი ერასმუს + ის გაცვლითი პროგრამის გამარჯვებული, რის შედეგადაც ერთი სემესტრი გავატარე გერმანიაში, ბრემენის უნივერსიტეტში, სადაც შევისწავლე კვლევის ეპრიული ანალიზისა და კვლევის პრაქტიკული მუშაობის მექნიზმები - რაც მნიშვნელოვნად დამეხმარა სამაგისტრო კვლევის ჩატარებაში.

მადლობას ვუხდი ჩემი ყველა კურსის ხელმძღვანელს - მათგანი მიღებული ცოდნა და პროფესიული გამოცდილება ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოგონებად დარჩება და გახდება საწინადარი იმისა, რომ დაგროვილი ცოდნა მომავალ თაობებს გავუზიარო.

მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს - ზურაბ ჭიაბერაშვილს, გაწეული შრომისა და დახმარებისათვის.